

სამეცნიერო ჟურნალი

*„Scripta manent“*

*საქართველო*

№3 (11)

2011

ჟურნალი დაფუძნებულია  
დია დიპლომატიის ასოციაციის მიერ



*Scientific magazin*

*Научный журнал*

*„Scripta manent“*

*GEORGIA*

*ГРУЗИЯ*

**№3 (11)**

**2011**

*OPEN DIPLOMATIC ASSOCIATION*

*АССОЦИАЦИЯ ОТКРЫТОЙ ДИПЛОМАТИИ*

ISSN 1987-7390  
UDK (უაკ) 81+82  
S-41

## სარედაქციო კოლეგია:

მამია ჩხეიძე

მთავარი რედაქტორი

რუსუდან თაბუკაშვილი

მთავარი რედაქტორის მოადგილე

ია ჩიქვინიძე

პასუხისმგებელი მდივანი

## რედაქციის წევრები:

ვიოლა ფურცელაძე, ჰანს რუდოლფ ფლუკი, კულაუ ბიბიტოვა, სილვია ბოტევა,

ტანია ბრისჰამერი, ქეთევან გაბუნია, ია გურდული, მარია მისაილოვა,

ტატიანა მებრელიშვილი, ალბა ბრაციანო, ალესანდრა სპაღორორა, გიორგი ყუფარაძე.

## მისამართი:

საქართველო, თბილისი, 0175, კოსტავას 77, კორპუსი VI, სართული VIII

ტელ. : 36 51 76

E-mail. : r.tabukashvili@gmail.com

## ტექნიკური უზრუნველყოფა: კარინა ხარაზიშვილი

E-mail. : k-kharazishvili@mail.ru

ჟურნალის ელექტრონული ვერსია განთავსებულია ღია დიპლომატიის ასოციაციის ვებგვერდზე:

[www.odageorgia.ge](http://www.odageorgia.ge)

**Editorial Board:**

Maia Chkheidze, Viola Purtseladze, Rusudan Tabukashvili, Ia Chikvinidze, Hans Rudiger Fluck, Kulpash Beibitova, Tania Griebhammer, Ketevan Gabunia, Ia Burduli, Maria Mikhailova, Silvia Boteva, Tatiana Megrelishvili, Alba Graziano, Alessandra Spadafora, Georgi Kuparadze

Adress: Kostava str. 77, 0175, Tbilisi, Georgia

Tel. : (995 32) 36 51 76

E-mail: r. tabukashvili@gmail. com

Electronic version: [www. odageorgia. ge](http://www.odageorgia.ge)

**Редакционная коллегия:**

Маия Чхеидзе, Виола Пурцеладзе, Русудан Табукашвили, Ия Чиквинидзе, Ганс Рудигер Флук, Кульпаш Бейбитова, Таня Грисхаммер, Кетеван Габуня, Ия Бурдули, Мария Михайлова, Сильвия Ботева, Татьяна Мегрелишвили, Альба Грациано, Алессандра Спадафора, Георгий Купарадзе

Адрес: Ул. Костава 77, 0175, Тбилиси, Грузия

Тел. : (995 32) 36 51 76

E-mail: r. tabukashvili@gmail. com

Электронная версия: [www. odageorgia. ge](http://www.odageorgia.ge)

## რედაქციისაბან

ჟურნალი აქვეყნებს როგორც ტრადიციულ, ისე თანამედროვე ლინგვისტიკისა და ლიტერატურათმცოდნეობის ყველა მიმდინარეობაზე დაფუძნებულ თეორიულ თუ პრაქტიკულ ნაშრომებს და ადგილს უთმობს აგრეთვე რეცენზიებსა და თარგმანებს.

პროფესიონალ ლინგვისტთა და ლიტერატურათმცოდნეთა ნაშრომების გამოქვეყნების გარდა ჟურნალი მიზნად ისახავს ფილოლოგიის, როგორც ერთ-ერთი ძირძველი ჰუმანიტარული მეცნიერების პოპულარიზაციას მომავალ თაობებში. ჟურნალის რედაქლეგია განსაკუთრებული ინტერესითა და ყურადღებით ეკიდება დოქტორანტთა, მაგისტრანტთა და სტუდენტთა ნაშრომებს.

## სარჩევი

|                                                                                                                                                                                       |     |
|---------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|-----|
| <b>ციური ახელედიანი, ნონა რუაძე</b><br>ეტიმოლოგიურ დუბლეტთა ფენომენი.....                                                                                                             | 9   |
| <b>ნინა ბარკოვსკაია</b><br>ბალადის ჟანრი თანამედროვე რუსულ პოეზიაში.....                                                                                                              | 13  |
| <b>მარიამ ბერიძე</b><br>ენა და კულტურულ სტერეოტიპთა სისტემა.....                                                                                                                      | 22  |
| <b>მარიამ ბერიძე</b><br>ფრაზეოლოგიური ფონდის სემანტიკის პრობლემა.....                                                                                                                 | 26  |
| <b>ქეთევან გაბუნია, გვანცა ჭანტურია</b><br>დისკურსი როგორც სოციოლინგვისტური მოვლენა.....                                                                                              | 30  |
| <b>ვიდას კავალიაუსკასი</b><br>-inti სუფიქსიანი ზმნების აქცენტის სისტემა ლიტვურ სტანდარტულ ენაში.....                                                                                  | 37  |
| <b>ლამზირა კობაიძე</b><br>თელიაშვილთა გვარი მესხეთში.....                                                                                                                             | 43  |
| <b>ლამზირა კობაიძე</b><br>ნადირაძეთა გვარის ისტორიისათვის.....                                                                                                                        | 48  |
| <b>დარეჯან ლაბუჩიძე</b><br>ენისაღმი ჰოლისტური მიდგომის პრინციპი თარგმნის პროცესში.....                                                                                                | 52  |
| <b>ნანა ლომია</b><br>ქართულ-იტალიური ინტერკულტურული კომუნიკაცია.....                                                                                                                  | 57  |
| <b>ნინო ლომსაძე, ნინო ბოჭორიშვილი</b><br>ტექსტის კომპრესიის მნიშვნელობა, ინფორმაციული ტექნოლოგიების როგორც<br>დამხმარე საშუალებების გამოყენება ინგლისური ენის შესწავლის პროცესში..... | 72  |
| <b>ია მანიშაშვილი</b><br>მოგზაურობის მეტაფიზიკური ასპექტი .....                                                                                                                       | 78  |
| <b>ნატალია იუზეფოვიჩი</b><br>უცხოური ლინგვოკულტურის სუბსტრატის გადაცემის ხერხები<br>საკონტაქტო ლიტერატურაში.....                                                                      | 83  |
| <b>ნატალია სუმაროკოვა</b><br>კონცეპტუალური ფენის – <i>ხახლი</i> – პერიფერიული ელემენტები ელისაბედ<br>გასკელის რომანში „ცოლები და ქალიშვილები“.....                                    | 94  |
| <b>ელენე ჭიალაშვილი-გორდევა</b><br>ქართულ და სლავურ დამწერლობათა განვითარების ისტორიის<br>შეპირისპირებითი ანალიზი .....                                                               | 99  |
| <b>ქეთევან ჯაში, მარი ფარეშიშვილი</b><br>მთარგმნელის კულტურულ-ენობრივი როლი მთარგმნელობითი სტრატეგიის<br>შერჩევის თვალსაზრისით.....                                                   | 110 |
| <b>მაია ჯავახიძე</b><br>„გულის“ კონცეპტუალიზაცია ქართულ და იტალიურ ფრაზეოლოგიურ კორპუსში.....                                                                                         | 118 |

## Contents

|                                                                                                                                                                           |     |
|---------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|-----|
| <b>Tsiuri A. Akhvlediani, Nona N. Rouadze</b><br>The Dublets Etymology Phenomenon .....                                                                                   | 9   |
| <b>Nina V. Barkovskaya</b><br>The Ballad Genre in Modern Russian Poetry.....                                                                                              | 13  |
| <b>Marian T. Beridze</b><br>Language and the System of Cultural Stereotypes .....                                                                                         | 22  |
| <b>Marian T. Beridze</b><br>The Problem of Segmenting Phraseological Vocabulary.....                                                                                      | 26  |
| <b>Ketevan U. Gabunia, Gvantsa V. Chanturia</b><br>Discourse as a Sociolinguistic Phenomenon .....                                                                        | 30  |
| <b>Vidas Kavaliauskas</b><br>Stress System of Verbs With Suffix -INTI in Lithuanian Standart Language .....                                                               | 37  |
| <b>Lamzira Kobaidze</b><br>Teliashvili's Name in Meskheta .....                                                                                                           | 43  |
| <b>Lamzira Kobaidze</b><br>Nadiradze's Name History.....                                                                                                                  | 48  |
| <b>Daredjan A. Labouchidze</b><br>Principle of Holistic Approach to the Language in the Process of Translation .....                                                      | 52  |
| <b>Nana V. Lomia</b><br>Georgian-Italian Intercultural Communication .....                                                                                                | 57  |
| <b>Nino R. Lomsadze, Nino N. Bochorishvili</b><br>The Significance of Text Compression and Information Technology as the Useful Way<br>of Studying English Language ..... | 72  |
| <b>Ia T. Manijashvili</b><br>Metaphysical Aspect of Journey .....                                                                                                         | 78  |
| <b>Natalia Jusephovich</b><br>Transfer Methods of Lingvocultural Substratum in the Contact Literature .....                                                               | 83  |
| <b>Natalia V. Sumarokova</b><br>Outlying Elements of Conceptual Layer <i>House</i> in the Novel “Wives and the<br>Daughters” by Elizabeth Gaskell .....                   | 94  |
| <b>Elena Sh. Chialashvili-Gordeeva</b><br>Comparative Analysis of Formation of Georgian and Slavic Writing Author Information.....                                        | 99  |
| <b>Ketevan N. Djachy, Mari Phareshishvili</b><br>Cultural and Linguistic Competence of the Translator in the Definition of the Translation Strategy.....                  | 110 |
| <b>Maia A. Javakhidze</b><br>Conceptualization of „Heart“ in Georgian and Italian Phraseological Corpus.....                                                              | 118 |

## Содержание

|                                                                                                                                                                  |     |
|------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|-----|
| <b>Циури Ахвледiani, Нона Руадзе</b><br>Феномен этимологических дублетов .....                                                                                   | 9   |
| <b>Нина Барковская</b><br>Жанр баллады в современной русской поэзии .....                                                                                        | 13  |
| <b>Мариам Беридзе</b><br>Язык и система культурных стереотипов .....                                                                                             | 22  |
| <b>Мариам Беридзе</b><br>Проблема сегментации фразеологического фонда .....                                                                                      | 26  |
| <b>Кетеван Габуния, Гванца Чантурия</b><br>Дискурс – как социолингвистическое явление .....                                                                      | 30  |
| <b>Видас Кавалаяускас</b><br>Система акцента глаголов с суффиксом <i>-inti</i> в литовском стандартном языке.....                                                | 37  |
| <b>Ламзира Кобаидзе</b><br>Фамилия Телиашвили в Месхети.....                                                                                                     | 43  |
| <b>Ламзира Кобаидзе</b><br>История происхождения фамилии Надирадзе.....                                                                                          | 48  |
| <b>Дареджан Лабучидзе</b><br>Холистический подход к языку в процессе перевода .....                                                                              | 52  |
| <b>Нана Ломия</b><br>Грузинско-Итальянская интеркультурная коммуникация .....                                                                                    | 57  |
| <b>Нино Ломсадзе, Нино Бочоришвили</b><br>Значение компрессии текста и информационные технологии как вспомогательные<br>средства изучения английского языка..... | 72  |
| <b>Ия Манижашвили</b><br>Метафизический аспект путешествия .....                                                                                                 | 78  |
| <b>Наталья Юзефович</b><br>Способы передачи лингвокультурного субстрата в контактной литературе .....                                                            | 83  |
| <b>Наталья Сумарокова</b><br>Периферийные элементы концептуального слоя <i>Дом</i> в романе Элизабет Гаскелл<br>„Жены и дочери“.....                             | 94  |
| <b>Елена Чиалашвили-Гордеева</b><br>Сопоставительный анализ истории развития грузинской и славянской письменностей.....                                          | 99  |
| <b>Кетеван Джаши, Мари Парешишвили</b><br>Культурно-языковая компетенция переводчика в определении стратегии перевода.....                                       | 110 |
| <b>Майя Джавахидзе</b><br>Концептуализация „сердца“ во фразеологическом корпусе грузинского и итальянского языков.....                                           | 118 |

## მთარგმნელის კულტურულ-ენობრივი როლი მთარგმნელობითი სტრატეგიის შერჩევის თვალსაზრისით

ქეთევან ჯაში

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

რომანისტიკის დეპარტამენტი

ი.ჭავჭავაძის პრ. 32, 0179, თბილისი,

საქართველო

ტელ: 599 508 337

E-mail: kdjachy@yahoo.com

მარი ფარეშიშვილი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

რომანისტიკის დეპარტამენტი

ი.ჭავჭავაძის პრ. 32, 0179, თბილისი,

საქართველო

ტელ: 577 713 861

E-mail: mariephar@yahoo.fr

### რეზიუმე

წინამდებარე სტატია ეძღვნება მთარგმნელის კულტურულ-ენობრივ როლს საგაზეთო პოლიტიკური სტატიების სათაურების თარგმნის პროცესში. გაზეთი წარმოადგენს ინფორმირებისა და მკითხველის დარწმუნების ერთ-ერთ საუკეთესო საშუალებას, რომელიც გათვლილია ფართო და ამასთან არაერთგვაროვან აუდიტორიაზე, ამიტომაც, მნიშვნელოვანია ინფორმაციის მიწოდების სწორად ორგანიზება. საგაზეთო სტატიების მთარგმნელები ცდილობენ ამოსავალი ტექსტის ინფორმაციული შინაარსი გაითვალისწინონ და შესაბამისი მთარგმნელობითი სტრატეგია აირჩიონ. მთარგმნელი არა მარტო სიღრმისეულად უნდა ფლობდეს სამუშაო ენებს, არამედ საფუძვლიანად უნდა იცნობდეს ამ ორ კულტურას, რათა შეძლოს ორიგინალის სტილის “კორექტირება” და სათარგმნი ენის საგაზეთო სტილზე მორგება.

### საკვანძო სიტყვები:

ტრადუქტოლოგია, მთარგმნელობითი სტრატეგია, ექსტრალინგვისტიკური ცოდნა, მთარგმნელი, საგაზეთო სათაური.

### შესავალი

თარგმანი ადამიანის საქმიანობის ერთ-ერთი უძველესი სფეროა და უმნიშვნელოვანეს კულტურულ ტრადიციას წარმოადგენს. გლობალიზაციამ თარგმანი სამეცნიერო, ტექნიკური, ეკონომიკური თვალსაზრისით უფრო მნიშვნელოვანი მოვლენა გახადა.

არსებობს სიტყვის – „თარგმანი“ უამრავი განსაზღვრება. ლინგვისტების ერთი ნაწილი მიიჩნევს, რომ თარგმანი ეს არის ერთი ენის ნიშნების ინტერპრეტაცია სხვა ენის ნიშნების საშუალებით. ბუნებრივია, ასეთი მიდგომა ზოგადი და ზედაპირულია, რადგან იქმნება შთაბეჭდილება, რომ თარგმანი აბსტრაქტულია, თითქოსდა თარგმანი წარმოადგენდეს ერთი ენის ლინგვისტიკური კოდის გაშიფვრას და წინასწარ დადგენილი შესატყვისების საშუალებით მის მეორე ლინგვისტიკურ კოდში კონვერსიას. ის არ აღწერს იმ ინტელექტუალურ პროცესს, რომელიც თარგმანს სჭირდება.

### ძირითადი ნაწილი

დისციპლინა, რომელიც თარგმანს შეისწავლის, მე 20-ე საუკუნის მეორე ნახევარში აღმოცენდა. ტრადუქტოლოგია კვლევების ერთობლიობაა, რომლის მიზანს და შედეგს «მთარგმნელობითი საქმიანობა

და თარგმანი» წარმოადგენს (კიოლერი 1971: 4)<sup>1</sup>, სხვაგვარად რომ ვთქვათ, ტრადუქტოლოგია, თარგმანის პროცესისა და შედეგის სამეცნიერო კვლევას გულისხმობს. ტრადუქტოლოგია, თავისი არსით, ინტერდისციპლინარული მეცნიერებაა. აქედან გამომდინარე, ის ცდილობს თარგმანის პროცესის მასშტაბურ გაანალიზებას. დიდი ხნის განმავლობაში, თარგმანს მხოლოდ ლინგვისტურ ჭრილში განიხილავდნენ, თუმცა მოგვიანებით, პარიზის სკოლამ, დ.სელესკოვიჩისა და მ. ლედერერის თაოსნობით, უარი თქვა თარგმანი მხოლოდ წმინდა ლინგვისტიკის თვალსაზრისით შეესწავლა. «როგორიც არ უნდა იყოს ლინგვისტიკის დამსახურება, მას არ შეუძლია თარგმანის პროცესის კომპლექსური ხასიათის ახსნა» (ლედერერი 1994: 92). თარგმანის ინტერპრეტაციული თეორიის ავტორები უპირატესობას «აზრის ერთეულს» ანიჭებენ, რომელიც შესაძლებელს ხდის დინამიკური თარგმანის განხორციელებას:

«აზრის ერთეული არის უმცირესი ელემენტი, რომელიც შესაძლებელს ხდის თარგმანში ეკვივალენტობის დამყარებას (...). ის წარმოადგენს ლინგვისტური და დევერბალიზებული ექსტრალინგვისტური ცოდნის შერწყმის შედეგს» (ლედერერი 1994 : 27)

თარგმანი ნიშნავს ინფორმაციის გადა-მუშავებას და გულისხმობს მთელი რიგი გადაწყვეტილებების მიღებას. თარგმანის სპეციფიურობა მის ემპირიულობაში მდგომარეობას, სადაც პრაქტიკას თეორიასთან შედარებით მნიშვნელოვანი ადგილი უკავია. თარგმანს ადამიანი ყველა დროში ახორციელებდა, თუმცა არ ახდენდა მის თეორიულ გააზრებას. დღეს, ტრადუქტო-

ლოგია ემპირიულობას ანუ მთარგმნელობით პრაქტიკასა და თარგმნის პროცესზე დაკვირვებას ემყარება.

რა კრიტერიუმებს უნდა აკმაყოფილებდეს კარგი თარგმანი? თარგმანის ხარისხის შეფასებისა და კრიტიკის საკითხი საკმაოდ რთულია და მან არაერთ კვლევას დაუდო საფუძველი. ყოველ შემთხვევაში, რამდენად მისაღებია თარგმანი, განისაზღვრება როგორც მთარგმნელების შეხედულებით, ასევე იმით, თუ რამდენად არის გათვალისწინებული ამ სფეროში დამკვიდრებული პრინციპები.

თარგმნის პროცესის დასაწყებად აუცილებელი კრიტერიუმებია: ენის მაღალ დონეზე ფლობა, თემის და კონტექსტის ცოდნა. მნიშვნელოვანია ასევე ისიც, თუ რა დანიშნულება აქვს თარგმანს და ვინ არის ტექსტის ადრესატი. იმისთვის, რომ მთარგმნელმა ტექსტი გაიგოს, მან ორი სირთულე უნდა გადალახოს. მთარგმნელმა, არა მარტო თვითონ უნდა გაიგოს ტექსტი, არამედ ის სხვასაც გააგებინოს.

სწორი იქნება, თუ ვიფიქრებთ, რომ სა-თარგმნი ენის უნაკლო ცოდნა პროფესიონალური თარგმანის შესრულების წინაპირობას წარმოადგენს. თუმცა მთარგმნელს, ხშირად უხდება ამოსავალ ტექსტებში ისეთ სოციოლექტებთან შეხება, რომლებსაც იგი სრულყოფილად არ ფლობს.

ჩვენი კვლევის ობიექტია საგაზეთო პოლიტიკური პუბლიკაციების სათაურების თარგმნის თავისებურებები და მთარგმნელის კულტურულ-ენობრივი როლი მთარგმნელობითი სტრატეგიის შერჩევის თვალსაზრისით. გაზეთი წარმოადგენს ინფორმირებისა და მკითხველის დარწმუნების ერთ-ერთ საუკეთესო საშუალებას. ის გათვლილია ფართო და ამასთან არაერთგვაროვან აუდიტორიაზე, რომელიც მან უნდა დააინტერესოს, ამიტომაც, მნიშვნე-

1 Introduction à la traductologie, Collection dirigée par Mathieu Guidère / Traducto, Groupe De Boeck s.a., 2008

ლოვანია ინფორმაციის მიწოდების კარგად ორგანიზება. საგაზეთო სტატიის სათაური უნდა იყოს მოკლე, ლაკონური და შინაარსობრივი, ამასთან, მან გარკვეული ემოციური გავლენა უნდა მოახდინოს მკითხველზე. მთარგმნელისათვის მნიშვნელოვანია ის ცოდნა, რომელიც მას საშუალებას მისცემს ობიექტურად აღიქვას ტექსტის შინაარსი და ემოციური დატვირთვა.

საგაზეთო სტატიებისათვის დამახასიათებელია დიდი რაოდენობით კლიშეების, სტერეოტიპული ფრაზების, საგაზეთო შტამპების, პოლიტიკური ტერმინებისა და სოციალური რეალიების გამოყენება. მთარგმნელი, უპირველეს ყოვლისა ცდილობს ასეთი პუბლიკაციების ზუსტი პოლიტიკურ-სოციალური აზრი და მათი იდეოლოგიური მიმართულება გადმოსცეს. ამის მისაღწევად, მთარგმნელმა უნდა მოახდინოს ორიგინალის სტილის კორექტირება და სათარგმნი ენის საგაზეთო სტილზე მორგება.

საგაზეთო სათაურებს ახასიათებთ ინფორმაციის კონცენტრირებული მიწოდება, რომელიც მკითხველს უიოლებს შესაძლებლობას, აირჩიოს გაზეთში ის, რაც მას აინტერესებს. სათაური სტატიის შესახებ იძლევა საერთო ორიენტაციას. ხშირად სათაური, რომელიც ხუთი-ექვსი სიტყვისაგან შედგება, იწყება იმ სიტყვით, რომელზედაც საუბარია ტექსტში. ამგვარად, მკითხველს შესაძლებლობა აქვს სათაურების საშუალებით ძირითადი მოვლენების შესახებ ზოგადი წარმოდგენა შეიქმნას. სათაურში მოცემულია სტატიის ყველაზე მნიშვნელოვანი აზრი ან თვალისმომჭრელი და დასამახსოვრებელი ფრაზა სტატიიდან. როგორც წესი, სათაურის ფუნქციაა მკითხველის ყურადღების მიქცევა და ამიტომაც ძალიან ხშირად, ის სრულად ვერ გადმოსცემს სტატიის შინაარსს. ამ ფუნქ-

ციას ძირითადად ასრულებს ქვესათაური, რომელიც რამდენიმე სტრიქონის საშუალებით სტატიის მოკლე შინაარსს იძლევა.

სათაური ახდენს ინფორმაციის კომპრესირებას. არის შემთხვევები, როდესაც მეტ-ნაკლებად გრძელი სტატია იყოფა ნაწილებად და თითოეულ ნაწილს თავისი სათაური აქვს. ეს ხდება მკითხველის მაქსიმალურად დასაინტერესებლად, რათა მკითხველმა, რომელიც თვალს გადააულებს ტექსტის რამდენიმე სტრიქონს, ბოლომდე წაიკითხოს აღნიშნული სტატია.

საგაზეთო სათაურების გაგება და თარგმნა მნიშვნელოვან სირთულეს წარმოადგენს და მთარგმნელისაგან მთელ რიგ უნარ-ჩვევებს მოითხოვს. ეს სპეციფიკური თავისებურებები ძირითადად 3 ფაქტორითაა განპირობებული. პირველ რიგში, სათაურის ძირითადი დანიშნულებაა მკითხველის ყურადღების მიპყრობა. მეორე მხრივ, სათაურმა მოკლედ უნდა გადმოსცეს სტატიის შინაარსი ან გამოყოს ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტები და მესამე, სათაურმა უნდა დაარწმუნოს მკითხველი და სტატიის ძირითადი იდეა შთააგონოს.

მთარგმნელის პრაქტიკული საქმიანობისათვის განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია ბეჭდვითი პრესის ისეთი თავისებურებები, როგორიცაა: ოფიციალური ტიტულები, საგაზეთო სათაურების განსაკუთრებული ხასიათი, საგაზეთო ინფორმაციული მასალის ლექსიკური თავისებურებებისა და ტერმინების გამოყენება. საგაზეთო სტატიების მთარგმნელები შეძლებისდაგვარად ცდილობენ ამოსავალი ტექსტის ინფორმაციული შინაარსი გაითვალისწინონ და შესაბამისი მთარგმნელობითი სტრატეგია აირჩიონ.

ემპირიული მასალა მოპოვებულია ფრანგული ყოველდღიური გამოცემა „Le Figaro“-დან, რომელიც საფრანგეთში მნიშვნე-

ნელოვან როლს ასრულებს საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბებაში. იმ ნორმის თანახმად, რომელიც არსებობს არალიტერატურულ ტექსტებთან მიმართებაში, მთარგმნელმა, მაქსიმალურად ტექსტთან მიახლოებული თარგმანი უნდა შეასრულოს, თუკი ეს ენობრივი და კომუნიკაციური თვალსაზრისით რაიმე დაბრკოლებას არ ქმნის.

საგაზეთო სტატიების თარგმნის ყველაზე უფრო გავრცელებული ხერხებია სიტყვასიტყვითი თარგმანი, ნაწილობრივი ტრანსკოდირება და სრული გარდაქმნა.<sup>2</sup>

**1. La Russie doit se retirer sans délai de Géorgie – რუსეთმა დაუყოვნებლივ უნდა დატოვოს საქართველო** 17/08/2008

**2. Kouchner soutient Tbilissi contre Moscou – კუშნერი თბილისს მოსკოვთან დაპირისპირებაში** მხარეს უჭერს 16/07/2010

**3. La tension monte en Égypte** - ეგვიპტეში დაძაბულობა მატულობს 03/01/2011

ფრანგული პრესის ფურცლებზე გამოქვეყნებული ამ სტატიების სათაურების ქართულად თარგმნა განსაკუთრებულ პრობლემას არ წარმოადგენს იქიდან გამომდინარე, რომ როგორც ქართველი, ასევე ფრანგი მკითხველისათვის ძირითადად ნათელია, თუ რას ეხება სტატიები. ასეთ შემთხვევებში, მთარგმნელს შეუძლია მთარგმნელობით სტრატეგიად ტრანსკოდირება<sup>3</sup> აირჩიოს.

თუმცა ხშირია შემთხვევები, როდესაც ქართული ენის სტილისტური და გრამატიკული ნორმებიდან გამომდინარე, მთარგმნელი ნაწილობრივ ტრანსკოდირებას მიმართავს, რომლის დროსაც, დაშვებულია გარკვეული ტრანსფორმაციების განხორციელება, რათა თარგმანმა იგივე

2. Théorie interprétative de la traduction et les titres- Thèse de Alexandra Valeva- Borissov. 1992 sous la direction de F. Israël. ESIT. Paris

3. ლექსიკონისეული თარგმანი

ზემოქმედება მოახდინოს მკითხველზე, რაც ორიგინალმა.

**Libye : Paris rapatrie ses ressortissants -საფრანგეთის ხელისუფლება თავის მოქალაქეებს ლიბიის დატოვებისაკენ მოუწოდებს.** 22/02/2011

(სიტყვასიტყვითი თარგმანი: პარიზი თავის მოქალაქეებს აბრუნებს)

**Le conflit qui empoisonne les rapports Est-Ouest -კონფლიქტი რომელიც საფრთხეს უქმნის ევროპისა და რუსეთის ურთიერთობებს.** 01/09/2008

(სიტყვასიტყვითი თარგმანი: კონფლიქტი რომელიც წამლავს აღმოსავლეთისა და დასავლეთის ურთიერთობებს)

ამ შემთხვევებში, ქართული სათაურების სტილისტური ნორმიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია მიგვაჩნია გარკვეული დამატებების განხორციელება. პირველ მაგალითში, ზმნა «rapatrier-დაბრუნება» ქართულში «დაბრუნების მოწოდებით» შევცვალეთ და ამასთან, მივუთითეთ თუ რომელ ქვეყანაზეა საუბარი. ფრანგულ სათაურში არაა მითითებული, რომ საქმე ეხება ლიბიას, საიდანაც არსებული მდგომარეობიდან გამომდინარე, საფრანგეთის მთავრობამ გადაწყვიტა მოეხდინა საკუთარი მოქალაქეების ევაკუაცია.

მეორე სათაურის თარგმანის შემთხვევაშიც გარკვეულ ცვლილებას აქვს ადგილი. ზმნა «empoisonner-მოწამვლა» ნაცვლად ქართულ თარგმანში გამოყენებულია «საფრთხეს უქმნის», ხოლო Est-Ouest (დასავლეთი და აღმოსავლეთი) ნაცვლად კი ევროპა და რუსეთი, ვინაიდან, ტექსტში საუბარია იმ დაძაბულობაზე, რომელიც დასავლეთსა და რუსეთს შორის წარმოიშვა მას შემდეგ, რაც რუსეთმა აღიარა ქართული ავტონომიების დამოუკიდებლობა.

**Otan:Ukraine/Géorgie «légitimes» საქართველოსა და უკრაინის ნატოსკენ სწრაფვა**

**სრულიად ლეგიტიმურია 03/04/2008**

(სიტყვასიტყვითი თარგმანი: ნატო: უკრაინა/საქართველო «კანონიერი»)

მოცემული სახით, ფრანგული სათაურის პირდაპირი გადმოტანა ქართული ენის როგორც გრამატიკული, ასევე სტილისტური ნორმების უხეშ დარღვევას გამოიწვევდა. ამიტომაც, სტატიის შინაარსიდან გამომდინარე, ლოგიკურია სათაურის გაშლა და სტილისტურ-გრამატიკული ტრანსფორმაცია.

**DSK : trois jours sous surveillance დომინიკ სტროს კანი საზოგადოების ყურადღების ცენტრში მოექცა/საერთაშორისო საგალუტო ფონდის ხელმძღვანელი საზოგადოების ყურადღების ცენტრში მოექცა.**

(სიტყვასიტყვითი თარგმანი : დსკ: 3 დღე მეთვალყურეობის ქვეშ)

ამ შემთხვევაშიც მთარგმნელი იძულებულია სათაურის სრული ტრანსფორმაცია განახორციელოს. თავდაპირველად, მთარგმნელს უხდება განმარტოს აბრევიატურა DSK. სტატიის ავტორი საერთაშორისო საგალუტო ფონდის ხელმძღვანელ დომინიკ სტროს კანზე საუბრობს, რომელიც შესაძლოა, სოციალისტური პარტიის საპრეზიდენტო კანდიდატი გახდეს 2012 წლის არჩევნებისთვის. ამასთან, გადავწყვიტეთ «sous surveillance –ზედამხედველობის ქვეშ» გადმოგვეტანა ფორმით «ყურადღების ცენტრში», ამ ლექსიკური ტრანსფორმაციით შევეცადეთ გადმოგვეცა ის აზრი, რომლის მატარებელიც აღნიშნული სათაურია.

როგორც წესი, თარგმანის პროცესი გულისხმობს არა ერთი ენის მეორე ენით ჩანაცვლებას, არამედ ერთი კულტურის მეორეთი შეცვლას. თუმცა, პროფესიონალი მთარგმნელი ყოველთვის აღწევს ინფორმაციულ ეკვივალენტობას, რაც თავის მხრივ დამოკიდებულია მთარგმნელის ოსტატობაზე და იმ თავისებურებებზე, რომელიც

ენებსა და კულტურებს შორის არსებობს.

მთარგმნელს თეორიული ცოდნა და სამეცნიერო კომპეტენცია უნდა ჰქონდეს, რათა იმ შემთხვევაში, როდესაც თარგმანის პრობლემა იჩენს თავს, ანდა მთარგმნელი განსხვავებულ სამუშაო მდგომარეობაში აღმოჩნდება, შეძლოს პრობლემის ადეკვატური გადაწყვეტა. მის ხელთ არსებულ საშუალებათა ერთობლიობიდან, მან ის ვარიანტი უნდა შეარჩიოს, რომელიც კონკრეტულ შემთხვევაში შეიძლება ყველაზე ეფექტური იყოს.

თარგმნის დროს, უნდა მოხდეს ყველანიუანის გათვალისწინება, რომელიც სტატიის ავტორისათვის იმპლიციტურია და ნაკლებად გასაგებია მკითხველისათვის. ასეთ შემთხვევაში, მთარგმნელი ექსპლიციტს ზომიერების ფარგლებში მიმართავს. ამ მოვალეობის წარმატებით განხორციელებისათვის, მთარგმნელი არა მარტო სიღრმისეულად უნდა ფლობდეს სამუშაო ენებს, არამედ საფუძვლიანად უნდა იცნობდეს ამ ორ კულტურას.

**Le Quai d'Orsay offert à Villepin? 25/02/2011 - დომინიკ დე ვილპენს საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტს სთავაზობენ**

(სიტყვასიტყვითი თარგმანი: ორსეს სანაპირო ვილპენს შესთავაზეს)

მთარგმნელს განმარტებების და ტრანსფორმაციების განხორციელება უხდება. **“Le Quai d'Orsay -** ორსეს სანაპირო“, მეტონიმიას წარმოადგენს და იმ სანაპიროზე მიუთითებს, სადაც საფრანგეთის საგარეო უწყების რეზიდენცია მდებარეობს. ამიტომაც, არ შეიძლება მისი პირდაპირ გადმოტანა ქართულში, ვინაიდან, ფრანგი მკითხველისაგან განსხვავებით, ქართველი მკითხველისათვის ის არ ასოცირდება საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტროსთან.

მთარგმნელს უხდება დისკურსის ადაპტირება, რათა, სოციო-კულტურული თავი-

სებურერების გამო წარმოქმნილი გაგების სირთულეები გადალახოს, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ორ კულტურას შორის სიღრმისეული განსხვავება არსებობს.

ზოგადი კულტურისა და განათლების მნიშვნელობა სწორედ დაკნინებულია თარგმანში. თუმცა, როგორც პროფესიონალების, ასევე არაპროფესიონალების მიერ შესრულებული თარგმანები ცხადყოფს, რომ კარგი ენობრივი ცოდნა, თუკი მას არ ახლავს სათანადო ექსტრალინგვისტური ცოდნა, შესაძლოა გახდეს არასწორი თარგმანის მიზეზი. თარგმნის პროცესი გულისხმობს სათარგმნ ენაზე ისეთივე ტექსტის შექმნას, რომელიც შეძლებს მასზე დაკისრებული ფუნქციის შესრულებას. საინფორმაციო ტექსტის მიზანია ინფორმირება, მკითხველისათვის განმარტების მიცემა და დარწმუნება. ხარისხიანი ტექსტის შედგენისათვის მთარგმნელი აუცილებლად უნდა გრძნობდეს ენას. იმისთვის, რომ მივიღოთ ოპტიმალური თარგმანი, შეუძლებელია ტექსტის რედაქტირების ისეთი ფორმის არჩევა, როგორსაც ორიგინალის ავტორი მიმართავს. მაღალი დონის თარგმანის შესასრულებლად აუცილებელია მთარგმნელს ჰქონდეს სარედაქციო კომპეტენცია, რომელიც განსხვავებულია ლიტერატურულ თარგმანში და ჟურნალისტურ თარგმანში.

### დასკვნა

მთარგმნელს უწევს საკმაოდ მაღალი მოთხოვნების დაკმაყოფილება. ის უნდა იყოს განათლებული და ჰქონდეს მრავალმხრივი ცოდნა. მთარგმნელი, რომელიც თარგმნის საგანზე პუბლიცისტურ მასალას, მსოფლიოში მიმდინარე მოვლენების საქმის კურსში უნდა იყოს, უნდა იცნობდეს სხვადასხვა ქვეყნების სახელმ-

წიფო წყობას, ეკონომიკას და გეოგრაფიას, სხვა ერების კულტურას, ისტორიას და რელიგებს. მთარგმნელი ასევე უნდა ფლობდეს ზოგადფილოლოგიურ ცოდნას, ვინაიდან, თარგმანის მრავალი პრობლემა შეიძლება მხოლოდ ფართო ფილოლოგიური ცოდნის საფუძველზე გადაწყდეს. სწორედ ასეთი ცოდნის საფუძველზე შეუძლია მთარგმნელს შეცდომების თავიდან აცილება. მთარგმნელი შეძლებს გააცნობიეროს ენის ეროვნული ხასიათი, დაძლიოს გრამატიკული, სტილისტური და ლექსიკური სირთულეები და აღარ გამოიყენოს უცხოური ენის კონსტრუქციები, რომლებიც ქართული ენის ნორმებს არღვევს.

### ლიტერატურა

1. Charaudeau P. (2005): *Les medias et l'information. L'impossible transparence du discours* Bruxelles: Editions de Boeck.
2. Durieux C. (1988): *Fondement didactique de la traduction technique*, Collection TRADUCTOLOGIE, n3, Didier Érudition, 1988
3. Moreno G.-A. (2006): 'La traduction français-espagnol des titres journalistiques du Monde Diplomatique. Un exemple de tension entre adéquation et acceptabilité', <http://accurapid.com/journal/37/titres.htm>
4. Hoek L.-H. (1981): *La marque du titre*. La Haye: Mouton.
5. Introduction à la traductologie (2008): Collection dirigée par Mathieu Guidère / Traducto, Groupe De Boeck s.a.
6. Katharina Reiss, *Problématiques de la traduction* Ed.ECONOMICA, 2009
7. Sémiotique : Devenir du sens - <http://data0.id.st/ciel/perso/didactisation/chapitre%201.2.pdf>
8. Sémiotique de la traduction, sémiotique de la connotation? Le cas de la traduction grecque des

titres des articles du Monde Diplomatique. <http://invenio.lib.auth.gr/record/113959/files/Semiotique>

9. Lederer M. (2006): *Le sens en traduction ed, Caen, Lettres modernes minard 2006*

10. Valeva- Borissov (1992): *Théorie interprétative de la traduction et les titres, sous la direction de F. Israël. ESIT. Paris.*

11. *La traduction, contact de langues et de cultures (études réunies par Michel Ballard) Artois Presse Université. 2005*

12. *La traduction des textes journalistiques par René Meertens*

<http://www.foreignword.com/fr/Articles/Meertens/default.htm>

13. *La traductologie dans tous ses états, Etudes réunies par Corinne Weeksteen et Ahmed El Kaladi Artois Presse Université, 2007*

14. *Translation Journal 10 (3), <http://accurapid.com/journal/37titres.htm> 6*

### **Cultural and linguistic competence of the translator in the definition of the translation strategy**

*Ketevan Djachy*

*Ilia's University*

*Romance Department.*

*32 Ilia Chavchavadze av. 32, Tbilisi, Georgia*

*Tel: 599 508 337*

*E-mail: [kdjachy@yahoo.com](mailto:kdjachy@yahoo.com)*

*Mari Phareasshishvili*

*Ilia's University*

*Romance Department.*

*32 Ilia Chavchavadze av. 32, Tbilisi, Georgia*

*Tel: 577 713 861*

*E-mail: [mariephar@yahoo.fr](mailto:mariephar@yahoo.fr)*

### **Abstract**

The following article is dedicated to the cultural and linguistic role of translator during the translation of headlines of political newspapers. The newspaper is an important tool to inform and convince the public; therefore a good organization of information is very important. Translators try to take into account the information formulate in the original text and to choose a good strategy for translation. The translator should not only master the language of work in depth but also be thoroughly familiar to these two cultures. Otherwise, translators can not manage to “correct” the style of the original text and adjust the language of translation to the newspaper style.

### **Keywords:**

Translation studies, translation strategies, extralinguistic knowledge, translator, newspaper headlines.

### **Культурно-языковая компетенция переводчика в определении стратегии перевода**

*Джаши Кетеван Николаевна*

*Университета Ильи*

*Департамент романистики*

*просп. И. Чавчавадзе 32, 0179, Тбилиси*

*Тел: 599 508 337*

*E-mail: [kdjachy@yahoo.com](mailto:kdjachy@yahoo.com)*

*Пареишвили Мари*

*Университета Ильи*

*Департамент романистики*

*просп. И. Чавчавадзе 32, 0179, Тбилиси*

*Тел 577 713 861*

*E-mail: [mariephar@yahoo.fr](mailto:mariephar@yahoo.fr)*

## **Резюме**

Статья посвящена культурно-языковой роли переводчика в процессе перевода заголовков политических газетных статей. Газета представляет наилучшую возможность информирования читателя, его убеждения, которая рассчитана на широкую и неоднородную аудиторию. Переводчики газетных статей стараются принять во внимание информационное содержание и выбрать соответствующую стратегию, Переводчик должен владеть не только двумя рабо-

чими языками, но и фундаментально знать их культуру, чтобы он смог корректировать стиль оригинала.

## **Ключевые слова:**

Традуктология, стратегия перевода, внеязыковые знания, переводчик, заголовок газеты.